| გაზეთი ღირს | | | |
|---|---|---|---|
| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ-დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა. ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1892 სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1892



## უმაღლესად დაარსებული

მისის იმპერატორებითის უმაღლესობის მემკვიდრე ცესარევიჩის თავმჯდომარეობით

### განსაკუთრებული კომიტეტი.

**ფულით შეწირულებამის** იმპერატორებით უმაღლესობის მემკვიდრე ცესარევიჩის თავმჯდომარეობით დაარსებულ კომიტეტისათვის მოუსავლობით დაზარალებულ გუბერნიების მცხოვრებთა სასარგებლოდ და აგრეთვე იმის განცხადებანი, თუ ვისმე ჰსურს შესწიროს პური (ფქვილი ანუ ხორბალი), მიიღება მის იმპერატორებით უდიდებულესობის კაბინეტის სადგომში, ანიჩკოვის ხიდთან, ყოველ-დღე, დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე, გარდა კვირა-უქმეებისა. სხვა ქალაქებიდგან შეწირულებანი ამ ადრესით უნდა გაიგზავნოს:

Въ С.-Петербургъ, въ Высочайше учрежденный, подъ предсѣдательствомъ ЕГО ИМПЕРАТОРСКАГО ВЫСОЧЕСТВА НАСЛѢДНИКА ЦЕСАРЕВИЧА, Особый Комитетъ.

ქართული საზაფხულო თეატრი

## „ჩანგი“

(მიხეილის ქუჩაზედ, მუშტაიდის გვერდით, „სტრელნაში“)

**კვირას, 3 მაისს,**

ქართველ ატრისტებისაგან

**ბ-ნ ნებიერიძის**

მოთაოეობით

წარმოდგენილი იქნება:

I

მესამე მოქმედება ა. ცაგარლის დრამიდგან

**მათიკო**

II

პირველად ახალი ვოდევილი

**იჭვიანი**

1 მოქ. რ. ერისთავისა.

III

**დიდი დივერტისმენტი**

**ორშაბათს, 4 მაისს,**

წარმოდგენილი იქნება:

I

**მუნწი**

კომ. 2 მოქ. გ. ერისთავისა

II

**ოინბაზი**

ანუ

**პრიკაშჩიკი შკაფში**

მოთამაშენი: ქ-ნნი ნებიერიძისა, გურგენიძისა; ბ-ნნი აბაშიძე, ნებიერიძე, ადამიძე, თომაშვილი და სხვ.

ადგილების ფასი:

1 წყება—1 მ. და 50 კ., 2 და 3—1 მ. და 20 კ., 4, 5, 6 და 7—1 მ., 8, 9, 10 და 11—60 კაპ., 12, 13 და 14—40 კ., ფეხზედ დგომა—20 კ.

დასაწყისი 9 საათზედ.

ადმინისტრატორი ა. ნებიერიძე.

რეჟისორი ვ. აბაშიძე.

შემდეგი წარმოდგენა იქნება ხუთშაბათს, 7 მაისს.


## მოგზაურობა მისის იმპერატორებითის უდიდებულესობისა, ხელმწიფე იმპერატრიცასი.

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

დაჰყო რა ორი კვირა აბასთუმანში, სადაც ბრძანდება ამ ჟამად უავგუსტოესი შვილი მისის უდიდებულესობისა, დიდი მთავარი გიორგი ალექსანდრეს ძე, ძვირფასმა სტუმარმა კავკასიისამ—მისმა იმპერატორებითმა უდიდებულესობამ ხელმწიფე იმპერატრიცამ, თავის უავგუსტოესის ასულის დიდის მთავრინას ქსენია ალექსანდრეს ასულისა და დიდის მთავარის მიხეილ ნიკოლოოზის ძითურთ ინება უკანვე წაბრძანება პეტერბურგს.

ხუთშაბათს, 30 აპრილს, ისაუზმა რა აბასთუმანში, ნაშუადღევის 1 საათსა და 15 წუთზედ მისი იმპერატორებითი უდიდებულესობა ხელმწიფე იმპერატრიცა დიდის მთავრინა ქსენია ალექსანდრეს ასულისა და დიდის მთავრების მიხეილ ნიკოლოოზის ძისა და გიორგი ალექსანდრეს ძითურთ წაბრძანდა ბორჯომს. დარი მშვენიერი იდგა და ამიტომ მისი უდიდებულესობა თავ-ღია ეტლით მობრძანდებოდა. მის უდიდებულესობასა და მათს უმაღლესობათ თან ახლდნენ: ფრეილინა ქ-ნი ოზეროვისა, იმპერატორის სასახლის მინისტრი გენერალ-ადიუტანტი გრაფი ი. ი. ვარანცოვ-დაშკოვი, მთავარ-მართებელი კავკასიისა გენერალ-ადიუტანტი ს. ა. შერემეტიევი, გუბერნიის უფროსი, მისის უდიდებულესობის კარის კამერჰერი თავ. გ. დ. შერვაშიძე და მცირე ამალა.

წინა დღით წვიმები იყო და ამის გამო მდინარე მტკვარი და იმისი ტოტები მოდიდებულიყო და ბორჯომის ხეობაში გზაზედ გადასულიყო, რის გამოც უავგუსტოესი სტუმრები ცოტა დაგვიანდნენ, რადგან წყალ-და წყალ სვლა მოუხდათ. ბორჯომში ნაშუადღევის 6 საათზე ჩამობრძანდნენ.

გზა-გზა მათ იმპერატორებითს უდიდებულესობას მახლობელ სოფლების მცხოვრებნი დიდის ალტაცებით ეგებებოდნენ და სალამს აძლევდნენ უავგუსტოესს სტუმრებს.

ისადილეს რა ბორჯომში, მისი იმპერატორებითი უდიდებულესობა დიდის მთავრინა ქსენია ალექსანდრეს ასულისა და დიდის მთავარის მიხეილ ნიკოლოოზის ძითურთ გაემგზავრა ხაშურს, სადაც მშვიდობით მიბრძანდა ესე ღამის 11 საათზედ, ხოლო დიდი მთავარი გიორგი ალექსანდრეს ძე ბორჯომიდგან აბასთუმანს გაემგზავრა.

სადგური „ხაშური“ მშვენიერად იყო მოწყობილი და შემკული დროშებითა და ხვეულის ყვავილით; ჩირაღდანი, უქარო ამინდისა გამო, კარგი და მოხდენილი იყო. მთელი სადგური ცეცხლებით იყო სავსე. ამას გარდა, ბაქანის ბოძებზედ გაზის ლამპრები ენთო. ხელმწიფე იმპერატრიცას აქ მიეგებნენ: მათი უმაღლესობანი პრინცი კ. პ. ოლდენბურგელი და პრინცი მიურატი, ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი გენერალ-ადიუტანტი შალიკოვი და ქუთაისის თავად-აზნაურთა წინამძღოლი, რომელმაც მისს უდიდებულესობას ყვავილების თაიგული მიართვა. მისმა უდიდებულესობამ განვლო რა სამეფო ოთახები, საიმპერატორო მატარებლის ვაგონში შებრძანდა, და მივიდა-რა ფანჯარასთან, მოწყალედ მიესალმა ხალხს, რომელიც მხიარულს „ურა“-ს იძახდა.

სწორედ ღამის 11 საათსა და 45 წუთზედ საიმპერატორო მატარებელი წამოვიდა მცხეთას. მატარებელში უმაღლესმა სტუმრებმა მიირთვეს ჩაი და ვახშამი. მთელი გზა ხაშურიდგან მცხეთამდე გაჩაღებულის ცეცხლებით იყო განათებული, ხოლო სადგურები რკინის გზისა მორთულ-შემკული—დროშებითა, ხვეულის ყვავილებითა და ჩირაღდნებით. საიმპერატორო მატარებელი, რომელიც 16 ვაგონისაგან შესდგებოდა, გორის სადგურამდე საათში 47 ვერსს მიდიოდა, ხოლო შემდეგ მცხეთამდე საათში—15 ვერსს. ხელმწიფე იმპერატრიცამ მოისვენა საწოლს ვაგონში. მატარებელი მცხეთაში დილის 4 საათსა და 15 წუთზედ ჩამოვიდა.

საქართველოს ძველს სატახტო ქალაქს—სოფელს მცხეთასა და მცხეთის სადგურზედ ამავე დროს დიდს სამზადისში იყვნენ. რკინის გზის სადგური შემკულ-მორთული იყო დროშებითა, ხვეულის ყვავილებითა და მუდმივ მწვანე მცენარეებით. სადგურის სადგომიდგან ორსავე მხარეს ბაქანის სიგრძეზედ ბოძები იდგა მრავალის პატარა დროშებით მორთული. სადგურის სადგომის კედელზედ მიმაგრებული იყო ფარები მისის იმპერატორებითის უდიდებულესობის სახელწოდების სათაურის ასოებითა, სახელმწიფო და კავკასიის გუბერნიების ღერბებითა, სამ-ფეროვან ქსოვილითა და დროშებით შემკული. კედლებზედაც ხვეულის ყვავილით გამოყვანილი იყო მის იმპერატორებით უდიდებულესობის სახელ-წოდების სათაური ასოები. პირველის კლასის დარბაზი, მისალებ ოთახად დანიშნული, დაფენილი იყო ხალებითა და წითელის მაუდით. იგივე დარბაზი მორთული იყო თბილის ქვეყნების მცენარეებით. შესავალ კარების პირდაპირ კედელზედ დაკიდებული იყო მათ იმპერატორებით უდიდებულესობათა სურათი, შემკული ხვეულის ყვავილით. დარბაზის სხვა კედლებზედ ხვეულისავე ყვავილით გამოყვანილი იყო სათაური ასოები მათ იმპერატორებით უდიდებულესობათა. დარბაზის შესავალ კართან გამართული იყო ფარდული, შემკული დროშებითა და ხვეულის ყვავილებით და სამ-ფეროვანის ქსოვილით მოფარდაგებული. საფოსტო გზის მხრივ შესავალს კარებთან იდგა კა-

## ფელეტონი

### მაისი

(რომანსი)

რიჟრაჟია. მზის ბრწყინვალე სხივებს ოდნავ ამოუყვიათ თავები შორეულ მთების ზოლიდგან და ალისფერი პირ-ბადე გადაუფარებიათ არემარესთვის. პირბადის ქვეშიდგან, უმანკო პატარძალივით, მკრთალად გამოსჭვივის ტურფა სურათი გაზაფხულისა და კაცის გულს სიტკბოებით და სინაზით ავსებს, გონებას აოცნებებს, სიცოცხლეს ასულდგმულებს. დილის ნიავ-ქარი ოდნავ არხევს სურნელოვანებით შეზავებულს ჰაერს და ხის ფოთოლნი ამ რხევაზედ ჰარმონიულად ბიბინ-შრიალებენ, ანკარა ჩახრიალა ღელე ჩუხჩუხებს და მის გარშემო ატეხილ ვარდნარზედ ბულბული უშტვენს დაბლა, დაბლა, განაბულის ხმით, თითქოს ეშინიან, რომ ბუნების მშვენიერი გამოღვიძება მეტის ხმაურობით არ დაარღვიოს, სინაზე და ლმობიერების ჰანგი არ შეუშალოს... აი, შორიდგან მოისმა წყნარი, გულ-საკლავი, მკვნესავი სალამურიც!..

აივანზედ სდგას გადაყუდებული თექვსმეტის წლის განო და გადაჰყურებს ამ თავისავით უმანკო, მშვენიერს სურათს; მის თეთრ კისეის მსუბუქს კაბას ვარდის ნიავი არხევს ფურცელივით, მის პირი-სახეს მზის მკრთალი სხივი აელვარებს, ნათელს აფრქვევს, მზის სხივებით განათებული წაბლის ფერი თმა ოქროს რკალივით გარს შემორტყმია იმის კეკლუცს თავს; წყნარი, სანეტარო ტკბილი ღიმილი ოდნავ უპობს ვარდის ფერს ბაგეს პატარა განოს.

რას გაუღვიძებია ასე ადრიან ეს ტურფა ბალღი? ვის უღიმის ამისი ბაგე? რას ჩაუფიქრებია ამისი ნაზი ჟუჟუნა თვალები? რადა ჰგრძნობს მარტო დღეს ასე სავსებით ამ ბუნების მშვენიერებას? რად არის ასე გაორკეცებული ამისი ყნოსვა ვარდის შესახებ, რად ეუბნება იმისი პატარა გული ასე კარგად ბანს ბულბულის სტვენას, წყაროს ჩხრიალს, ნიავის თრთოლვას?

მაისის ბრწყინვალე მზემ, მისმა ძალოვანმა თბილმა სხივმა განოს გულის სიღრმემდისაც მიაღწია. ჩაანათა, გაათბო და იქ ააღორძინა, დააკოკრა დაააყვავა ის ტკბილი, უკვდავი სამოთხის ვარდი, რომელსაც სიყვარულს, ნეტარებას ეძახიან.

განოს უყვარს, განო ეტრფის. წუხელ მთვარის შუქზედ, ამ მიჯნურობის აუცილებელ მოწმის შუქზედ, განომ პირველად იგრძნო, რომ მისი გული თანაუგრძნობს იმ ყმაწვილის გულს, რომ მისი სული იმის სულს თავს დასტრიალებს და მისი გონება ამაზედ კარგს ვერასა ჰპოვებს.

ეკ. გაბაშვილისა

## მამა-პაპათა ცოდვა

### III *)

ზაფხული მიიწურა. ხეებს შეყვითლებული ფოთლები სცვიოდა. ყვავილ-ვარდმა ელფერი დაჰკარგა და სიდამჭკნე შეეპარა. მზეს სიცხოველე მოაკლდა და ყოველთვის კაშკაშს პირზედ ნისლი გადაეფარა. აქა-იქ ჩიტების ჭიკჭიკი კიდევ ისმოდა, მაგრამ ვაი ამ ჭიკჭიკს... ამ ჭიკჭიკით ჩიტები თითქოს ზაფხულს ეთხოვებოდნენ. ცივი ნიავი აუარებელს თეთრს ღრუბლებს ცაზედ უგზო-უკვლოდ ანავარდებდა... ფრუშის მთაზე რთველი გაათავეს... გათავდა რთველი და იმასთან ერთად მხიარული სიმღერა და დაუსრულებელი სალამურის ტკბილი ხმაც შესწყდა. ირგვლივ ყველა დადუმდა, მხოლოდ სოფლის წყარო დაუბოლოებლივ ერთ გვარად ჩხრიალებდა. ეხლა წყარო ობოლსავით ჩხრიალებდა, მღეროდა. არა, კი არა მღეროდა, თავისს მეგობრებსა სტიროდა.

მოხუც ეროშის სახლს წინ მშვენიერი დიდი ბაღი იყო გაშენებული. სასიამოვნო სანახავი იყო ეს ბაღი. ყოველს ხეხილს, ყოველს ბუჩქნარს, ყვავილს პატრონის მზრუნველი ხელი ეტყობოდა. ეხლა? ეხლა-კი ეს მშვენიერი ბაღიც აოხრდა. მზრუნველი ავად იყო... ბალახი აშალაფდა, პატარა ბილიკები დაჰფარა თავის გაყვითლებულის ღერო-ფოთლებით...

ამ ბაღში ღრმად შავებში შემოსილი ვიდოსავა დასეირნობდა. დარი იღრუბლებოდა, იქუშებოდა, ვიდოსავას-კი გული სიამოვნება-სიხარუ-

*) იხ. „ივერია“, № 91.

რავი მშვენიერად მორთული დროშებით. რკინის გზის სადგურიდგან საფოსტო სადგურამდე გზის ორსავე მხარეს ბოძები იდგა მრავალის დროშებით მორთული, ხოლო ბოძებს შორის მიწა დაფენილი იყო ყვავილებით. საიმპერატორო მატარებელი მცხეთაში რომ მოვიდა, სადგურს ცოტა მოშორებით, გზის ისართან გაჩერდა. ხელმწიფე იმპერატრიცამა და მათ უმაღლესობათ ღამე მატარებელში გაათიეს. დილის 8 საათსა და 15 წუთზედ მატარებელი სადგურთან წამოაყენეს. ხელმწიფე იმპერატრიცა დიდის მთავრინას ქსენია ალექსანდრეს ასულისა და დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოოზის ძითურთ გადმობრძანდა ვაგონიდგან ბაქანზედ, განვლო მისაღები ოთახი, ჩაბრძანდა ეტლში და წაბრძანდა საქართველოს ძველს სატახტო ქალაქს, ხოლო დღეს სოფელს „მცხეთაში“. შეგროვილი ხალხი მხიარულს „ურა“-ს იძახდა.

სოფლის თავიდგან მცხეთის უმთავრეს ტაძრამდე წყობისად იდგნენ ამქრები თავიანთის ბაირაღებითა, უსტაბაშებითა, მათის თანაშემწეებითა და ხელოსანთა მოურავის ნაუმენკოთურთ და მრავალ ხალხთან ერთად სალამს აძლევდნენ უავგუსტოესს სტუმრებს და „ურა“-ს იძახდნენ. მთელი სოფელი შემკული იყო დროშებით. იქ თავ-მოყრილის ხალხის სიხარული კალმით ვერ აღიწერება... ხალხის მხიარულს გრგვინვას შორეულნი ხეობანი და მთანიც ხმას აძლევდნენ. გალავანი მცხეთის ტაძრისა მორთული იყო დროშებითა და ხვეულის მწვანითა. გალავნის კარებიდგან გზა დაფენილი იყო ხალებითა და მარცხნივ მხარეს ხალხი იდგა. ტაძრის გალავანში მისს იმპერატორებითს უდიდებულესობას მცხეთის სოფლის სახელით იქაურმა მამასახლისმა პურ-მარილი მიართვა. მიიღო რა მოწყალედ პურ-მარილი, მისი უდიდებულესობა წაბრძანდა ტაძარში, სადაც შესავალ კართან მიეგება საქართველოს ექსარხოსი, მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობა პალლადი წმ. ჯვარით და ორის ქორეპისკოპოს ყოვლად უსამღვდელოესის გორის ეპისკოპოსის ალექსანდრესი და ალავერდის ეპისკოპოსის ბესარიონითურთ, და მოკლე სიტყვა მოახსენა უავგუსტოესს სტუმრებს. ამას შემდეგ მათი უდიდებულესობა და მათი უმაღლესობანი შებრძანდნენ ტაძარში, სადაც გარდახდილ იქმნა მცირე პარაკლისი მრავალ-ჟამიერითურთ მათის იმპერატორებითის უმაღლესობათა, მემკვიდრე ცესარევიჩისა, დიდის მთავრინას ქსენია ალექსანდრეს ასულისა, დიდის მთავრების გიორგი ალექსანდრეს ძისა და მიხეილ ნიკოლოოზის ძისა და სრულიად სამეფო სახლობისათვის. ღვთის მსახურების დროს ექსარხოსის მგალობელთა დასმა ქართულად იგალობა „ქრისტე აღსდგა“. შემოსილი სამღვდელოება მარცხნივ იდგა შუა ტაძარში, სადაც იდგნენ ექსარხოსი და ორი ქორეპისკოპოსი ერთს რიგზედ. მისმა იმპერატორებითმა უდიდებულესობამ ადგილი დაიჭირა ძველს საქართველოს საპატრიარქო საჯდომელთან. უავგუსტოეს სტუმართა მარცხნივ საქართველოს სამეფო ტახტთან დადგნენ მანდილოსანნი, მეუღლენი პირველ ხუთის კლასის მოხელეთა (გენერლებისანი). სვეტი-ცხოველსა და საპატრიარქო საჯდომელს პირდაპირ, ექსარხოსის მგალობელთა დასს შემდეგ დადგნენ ხმოსანნი ტფილისის საქალაქო საბჭოსი ტფილისის მოურავის მის იმპერატორებით უდიდებულესობის კარის კამერჰერის თავ. ნ. ვ. არგუთინსკი-დოლგორუკითურთ. ტაძრის შუა ადგილას დადგნენ თავად-აზნაურნი ტფილისის გუბერნიისა და ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი მისის უდიდებულესობის კარის კამერჰერი თავ. ლ. მაღალაშვილი. როდესაც ხელმწიფე იმპერატრიცა ჯვარს ემთხვეოდა, თავად-აზნაურნი გამოვიდნენ ტაძრიდგან გალავანში, ხელმწიფე იმპერატრიცამ დაათვალიერა შესანიშნავნი წმიდანებანი ტაძრისა, მაგალითად, ჯვარი იმ ხისა, რომელიც ამოვიდა სიდონიას საფლავზედ, სვეტი-ცხოველი, ადგილი მაცხოვრის კვართის დაფლვისა და სხვ. და შემდეგ ტაძრიდგან გამობრძანდა. წმიდანებათა შესახებ ექსარხოსი ესაუბრებოდა მის იმპერატორებითს უდიდებულესობას. ხელმწიფე იმპერატრიცა მოწყალედ მიესალმა ტაძრის გალავანში მწკრივად მდგომს მცხეთის სამრევლო სკოლის მოწაფეებს. შემდეგ მის იმპერატორებითის უდიდებულესობის წინაშე წარსდგნენ უფროსი ამიერ-კავკასიის დედათა ინსტიტუტისა, ქ-ნი კულებიაკინისა, ფრეილინა მისის უდიდებულესობისა, და სხვანი, რომელთაც ხელმწიფე იმპერატრიცა მოწყალედ ესაუბრა და ხელი მისცა საკოცნელად. მანდილოსანთა შემდეგ ტფილისის ქალაქის მოურავი მიესალმა ქალაქ ტფილისის სახელით და მიართვა მისს უდიდებულესობას რამდენიმე ძვირფასი საჩუქარი. შემდეგ ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლმა თავად-აზნაურთა მხრივ განუცხადა მის უდიდებულესობას გრძნობანი ერთგულებისა და მიართვა ორი მშვენიერი ცხენი ძველებურ ძვირფასად დახარჯული: ქართულად ოქროთი მოქარგულის ფარჩით შემკულ ვერცხლის შეკმაზულობით. მიიღო რა ყოველივე საჩუქარი და რამდენიმე თხოვნა, ხელმწიფე იმპერატრიცა წამობრძანდა ხალებითა და ყვავილებით დაფენილის გზით გალავნიდგან. წინ მოუძღოდა შემოსილი ექსარხოსი. ხელმწიფე იმპერატრიცა გზა-გზა სალამს აძლევდა ხალხს, რომელიც მხიარულის ჟრიამულით ეგებებოდა. სრულს 9 საათსა და 10 წუთზედ მისი უდიდებულესობა დიდის მთავრინას ქსენია ალექსანდრეს ასულითურთ ჩაბრძანდა საფოსტო ეკიპაჟში და გაემართა მცხეთიდგან საქართველოს სამხედრო გზით. 12 თავად-აზნაურმა, საპატიო ყარაულმა, ძველებურს ქართულს ტანისამოსში გამოწყობილმა, გააცილა ეკიპაჟი ხელმწიფე იმპერატრიცასი წილკნის სადგურამდე (14 ვერსამდეა).

მისმა უდიდებულესობამ ისაუზმა ანანურში, ხოლო ისადილა ყაზბეგში. მარშრუტით მისს უდიდებულესობას კავკავში მიელოდდნენ იმავე დღეს, ღამის 12 საათზედ, და მაშინვე მისი უდიდებულესობა უნდა გამგზავრებულიყო კიდევ რკინის გზით.

გიორგი პავლოვი

## ახალი ამბავი

⁂ ტფილისის ქუჩებში ვიღაც დედაკაცი დადის, რომელსაც, როგორც ეტყობა, შეშმიშობა სჭირს, სულით ავადმყოფია. ამ დედაკაცს დაფხრეწილ-დაგლეჯილი ტანთსაცმელი აცვია, ბნედა ემართება, ალახში ეცემა ხოლმე და ამიტომ საშინლად დაჟეჟილი აქვს ცხვირ-პირი. მთელი დღე საცოდავი არსება უგზო-უკვლოდ დახეტიალობს და აქეთ-იქით ედება, პატარა ბიჭების სამასხაროდ და სასაცილოდ გამხდარი. როგორც შევიტყეთ, მისი გვარი ინაძე ყოფილა. სასურველია, რომ ამ უბედურსაც პატრონი გამოუჩნდებოდეს და სულით ავადმყოფთა სამკურნალოში დააბინავებდნენ.

⁂ 28 აპრილს, ღამე, პოლიციის მეოთხე განყოფილებაში, სოლოლაკზედ, თავისმა მოსამსახურემ გაჰქურდა კ. ნასიძე. მოსამსახურე, გვარად გიორგი შიოს ძე ორდენიძე, რაჭის მაზრის მცხოვრებელი, შუადამისას წამომდგარა, მოუპარავს ბატონის საათი, 28 მან. 90 კაპ. ფულად და სხვა ნივთეულობა და გაქცეულა. დანაკარგი სულ თხუთმეტ თუმნად არის დაფასებული. პოლიცია დამნაშავეს დაეძებს.

⁂ 30 აპრილს, საღამოს $6^1/_2$ საათზედ, ერთი უბედურება დატრიალდა მადათოვის კუნძულზედ. ერთი კაცი, ხელობით წაღების მკერავი, მოჰკლა ამავე ხელობის თხუთმეტ-ჩვიდმეტის წლის ყმაწვილმა ბიჭმა ალექსი ნონიაშვილმა წაღების მკერავლ ჯულანიანცის მაღაზიაში. ბიჭმა წამოავლო თურმე ტყავის ბასრს დანას ხელი და კისერში ჩასცა. დაჭრილი ერთი-კი წატორტმანდა, კარებისკენ წავიდა, მაგრამ კარებთანვე დაეცა და, ვიდრე სამკურნალოში წაიყვანდნენ, გზაზედვე სული განუტევა. მოკლული გორის მაზრის სოფ. გომის მცხოვრებელი დიმიტრი წამალაშვილი აღმოჩნდა. დამნაშავე პოლიციელმა ბაბალოვმა შეიპყრო და ოქმი შეუდგინა.

⁂ ტფილისის მაღაზიის პატრონებმა როგორღაც მიაფუჩეჩეს და დაივიწყეს დადგენილება ქალაქის საბჭოსი, რომ კვირა დღეობით მაღაზიები დაიკეტოს ხოლმე, რათა ნოქრებსა და მაღაზიის სხვა მოსამსახურეებს თავისუფლად ყოფნა შეეძლოთ. ზოგი თუ ასრულებდა ამ დადგენილებას, უმეტესობას მაინც გაღებული ჰქონდა მაღაზია და ვაჭრობდა. გუშინ, 1 მაისს, პოლიციის ყველა ბოქაულს ბრძანება მოუვიდა, რომ კარგად ადევნეთ თვალ-ყური მაღაზიების დაკეტვის საქმეს, ძალათი დააკეტვინეთ ხოლმე ამ დღეს დუქნები და თუ მაინც თავისი არ დაიშალეს, ოქმი შეუდგინეთ და სამართალში მიეცითო.

⁂ ღმერთმან დაიფაროს იმ უსიხლო მტერისაგან ქართლ-კახეთი და იმერეთი, რომელიც დღეს-დღეობით ებრძვის თათრის მხარეს, ფოილოსა და იქითა მხარეს თათრებისას. სახელ-გასაქრობი კალია ჭირნახულს ისე მოედო და ებრძვის, რომ საშიში სანახავია: დედამიწაც არა სჩანს; რომ გაიხედოთ, თითქოს ზღვის ნისლი დაფენილა მიწაზედაო, იმას იფიქრებთ. ჯერ-ჯერობით ჭიანჭველაზედ დიდი არ არის და, როდესაც დაიზრდება, მაშინ რა უნდა დაუმაგრდეს ამისთანა ღვთის რისხვა მტერს. დიდი ჯარი ესევა ჯერ-ჯერობით თათრისა, ხის ცოცხებით ჰხვეტავენ, ბარებით მიწასა სთხრიან, ჰყრიან შიგა და ზედ მიწას აყრიან, მაგრამ მეორე დღეს თითქოს კიდევ მეტი ჩნდება.

⁂ 29 აპრილს სადგურს ფოილოსა და ალსტაფას შორის ერთი საათი და ათი წუთი იყო გაჩერებული სახალხო მატარებელი № 3 კალიის მიზეზით. კალია ლიანდაგზედ იყო მოხვეული და თვალები ვეღარა ბრუნავდა. ამის მიზეზით დეპეშით მოითხოვეს ალსტაფიდგან დასახმარებელი მატარებელი და ორმა ორთქლ-მავალმა ძლივ-ძლიობით დასძრა ვაგონები.

⁂ 29 აპრილს, ღამის 12 საათსა და 11 წუთზედ, ტფილისში მთვარის დაბნელება მოხდა, რომელიც დილის $4^1/_2$ საათამდე გაგრძელდა.

⁂ რუსეთის რკინის გზათა დეპარტამენტმა ამ დღეებში მოსწერა ამიერ-კავკასიის რკინის გზის მმართველობას, რომ გზათა მინისტრის მიერ ლიბავა-როვენის რკინის გზის ინჟენერი ანტოშინი რუსეთის რკინის გზების უფროს ინსპექტორად დაინიშნაო. ანტოშინს მინდობილი ექნება თვალ-ყური ადევნოს, თუ როგორ ასრულებენ რკინის გზების მმართველნი რკინის გზათა დეპარტამენტის სხვა-და-სხვა განკარგულებასა და ცირკულიარს.

⁂ გუშინ ტფილისის საქალაქო სამკურნალოში კიდევ გარდაიცვალა ხუნაგით ერთი მოწაფე ტფილისის სასულიერო სასწავლებლისა, გვარად ვლ. პოკროვსკი. ხუნაგს გარდა, ამ სასწავლებელში ჩუტყვავილაც არის გავრცელებული. რომ სხვა მოწაფე-

---

ლით უცემდა. თუმცა ძმების უბედურება ჯერ კიდევ არ დაჰვიწყებოდა, მაგრამ განგება თითქოს ჩასძახოდა, რომ სწორედ ასე უნდა მომხდარიყო შენის საკუთარის ბედნიერებისათვისაო. წინანდელი მტანჯველი ლანდი სამუდამოდ მოჰშორდა, ვიდოსავა გამოცოცხლდა, გადახალისდა... რაღაც ფარულმა გრძნობამ ვიდოსავას ბუნება მთლად შესცვალა. ან განა ვიდოსავას ხნის ქალს უსიყვარულოდ შეეძლო ცხოვრება? ია თვით მშვენიერი სურნელოვანებაა... გულისა სიყვარული... იამ თითონაც არ იცის, თუ მშვენიერ სურნელოვანების მქონეა... ასევე გულის შეუმჩნევლად ეპარება ადამიანს სიყვარული.

რად ამოიოხრა ვიდოსავამ? ამოიოხრა-კი, მაგრამ სახე-კი გაუბრწყინდა, გული სიხარულით შეუტოკდა? ვიდოსავამ სტეფანე დაინახა. სტეფანე ჩვეულებრივ ყოველ დღე მოდიოდა მამა უროშთან და ვიდოსავასთან კარგა ხანს ატარებდა ხოლმე დროს, ელაპარაკებოდა თავისს ამბავს... მერმისს ბედნიერებასა ოცნებობდა და ცოლობის თხოვნას-კი ვერ უბედავდა. ვიდოსავა ჯერ კიდევ არ იყო დარწმუნებული, რომ სტეფანე უყვარდა.

წყეული ხმა წამ-და-უწუმ ჩასძახოდა: მოიშორე სტეფანე... ვაი იმას, თუ წყევლა მაგასაც მოხვდა... ორ ცეცხლ შუა იყო ვიდოსავა... უნდოდა დაჰმორჩილებოდა იდუმალს ხმას, მაგრამ გული ნებას არ აძლევდა... სტეფანეს ნახვა ყველაფერს ავიწყებდა. იმის ნახვით დამტკბარი ვიდოსავა თვალ-მოუშორებლივ გაჰყურებდა ცხენზედ მოხდენით შინისაკენ მიმავალს სტეფანეს. მოეფარებოდა თუ არა სტეფანე, ვიდოსავაც უცებ დაღონდებოდა.

რაც დრო გადიოდა, ვიდოსავას გულში სტეფანეს სიყვარული უფრო ღრმად იდგამდა ფესვებს... მოხუცი ბრმა უროშიც ჰგრძნობდა, რომ იმისი ერთად-ერთი-ღა იმედი ვიდოსავა მხიარულად იყო და ბედნიერად სთვლიდა თავისს თავს.

— რა მშვენიერი სუნი ტრიალებს? უთხრა მოხუცმა სტეფანეს და ვიდოსავას ერთს საღამოს, როცა ხელდახელ მოხუცი ბაღში მიჰყავდათ.

— გარს ვარდები გვახვევია და იმიტომ, უპასუხა მამას ვიდოსავამ.

— აქ დავსხდეთ, შვილებო! ვარდი კარგი ნიშანია!..

სამნივენი მახლობელს სკამზედ ჩამოსხდნენ და უნებლიედ ჩაფიქრდნენ. ერთი, ერთი სიტყვა იყო საჭირო... მოხუცის ხმის ამოღება სამივეს გაახარებდა. მოხუცმა თითონაც არ იცოდა, როგორ და რა ეთქვა. ვიდოსავა გულის ცახცახით შესცქეროდა ხან მამას და ხან სტეფანეს. უცებ მოხუცმა სტეფანეს ხელი წაავლო თითიდგან ბეჭედი წააძრო და ჰკითხა:

— ეს რა ბეჭედია?

— დედა რომ მიკვდებოდა, მაშინ მისახსოვრა და მითხრა: შენს მომავალს სიცოცხლეს შეუნახეო... ღმერთსა ვფიცავ, რომ ეს ბეჭედი სიკვდილამდის არ მოვიშორო, თუ ვიდოსავა არ მიიღებს.

სიყვარულით დაგვირგვინებულის ბედნიერებას საზღვარი არა აქვს. იგი ერთს წამს ივიწყებს ყველაფერს, წარსულს უბედურებას, და მომავალს ხომ სულ ვერა ჰხედავს...

მზე მიიწურა. უკანასკნელი სხივები არშიყსავით შესტრფიალებდა ვიდოსავას ალმასის ბეჭედს.

სტეფანე გამოეთხოვა მამა-შვილს და სიხარულით ცას მოწეული გაემგზავრა შინისაკენ. სამივენი ერთსა და იმავე ფიქრში იყვნენ... დღეებს სთვლიდნენ, რამდენი დღე-ღა დარჩენილა გიორგობის დღემდეო...

IV

როგორ გაატაროს დრო? გიორგობამდის საშინელი ცივი ზამთარი დადგა. ყინვა-ქარიშხალი გამეფდა ქვეყნად, თუმცა შეყვარებულთათვის-კი არა ციოდა. იმათ თოვლის მაგიერ ასე ეგონათ, ციდამ ყვავილები სცვივაო... ყინვას რა შეუძლიან მხურვალე სიყვარულთან... ზამთრის დიდი საღამო შეუმჩნევლად გარბოდა. ვიდოსავას მოხუცი გამზრდელი ბოჟან მოუჯდებოდა ხოლმე თავისს გაზრდილს და ათას გვარის არაკითართობდა. ვიდოსავა ყურს-კი უგდებდა ძიძას, მაგრამ გული, ჭკუა და გონება სულ სხვაგან, შორს, სტეფანესთან მიუქროდა... ხშირად სტეფანე კარგა შუაღამემდის რჩებოდა ხოლმე დანიშნულთან. გამოთხოვების დროს ვიდოსავაც დარცხვენით ჩუმად ეტყოდა, რამდენი დღე-ღა დარჩა გიორგობამდისაო, და საჩქაროდ შეირბენდა სახლში.

ზამთარი სიზმარსავით გავიდა. დედამიწამ მოიშორა ზამთრის სამო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიც არ დახდენ ავად, ამიტომ, ვფიქრობთ, ცუდი არ იქნებოდა, ადრე დაეთხოვნათ და ან სხვა რაიმე ღონისძიება ეღონათ სენის მოსასპობლად.

*** გაზეთს „Нов. Обоз.“-ს შეუტყვია, რომ ქართულ დრამატიულ საზოგადოების ერთს წევრს თავმჯდომარესათვის თხოვნა მიურთმევია, რომელშიაც სწერს, რომ 12 აპრილის კრებაზედ მომხდარი საზოგადოების გამგეობის წევრთა არჩევანები უკანონოდ უნდა ჩაითვალოს და ამიტომ ხელ-მეორედ უნდა მოხდესო. ამის გამო მაისში დრამატიულ საზოგადოების საგანგებო კრება უნდა მოხდეს, რომელიც, სხვათა შორის, განიხილავს მომავალს სეზონში ქართულ წარმოდგენების გამართვის საქმესაც.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**სამტრედია.** თქვენს პატივცემულს გაზეთ „ივერიაში“ ამოვიკითხეთ, რომ: „ერთს ახალგაზდა კაცს, პეტრე გელეიშვილს, ჰსურს სამტრედიაში ბიბლიოთეკის და ქართულის წიგნების მაღაზიის გამართვაო“. ეს სწორედ დიდად სასიამოვნო ამბავია, მაგრამ ვინც ამ სასიამოვნო ამბავს იუწყება სამტრედიიდგან, ის რატომ იმ სასიამოვნო ამბის შესახებ არას იწერება, რომ სამტრედიაში ერთი თთვეა, რაც უკვე ერთმა ამხანაგობამ გამართა კოპწია სახლში ქართულ წიგნების და ყოველ გვარ სასწავლო ნივთების მაღაზია და იმ ფასად აწვდის მსურველო, რა ფასადაც ისყიდება დიდს ქალაქებში? სამტრედია არც ისეთი თვალ-უწვდენელი ქალაქია, რომ კაცმა ვერ შენიშნოს, თუ რა არსებობს იქ და ან რა ჰსურთ დააარსონ.

ამხანაგობას შეუნიშნავს, რომ იმ სასწავლებელთათვის, რომლებიც დაშორებულნი არიან ქალაქ ქუთაისზედ, ძლიერ გასაჭირია და ძვირადაც უჯდებათ სასწავლო წიგნებისა და ნივთების მოპოვება ქუთაისში წასვლა-წამოსვლით და ხშირად თავ-თავის დროზედ ქუთაისშიაც ვერ ჰშოულობენ ისეთ სასწავლო წიგნებსა და ნივთებს, რომელიც მათთვის საჭიროა, და სკოლებში სწავლების წარმატება შესამჩნევად ფერხდება. ამ დაბრკოლების ასაცილებლად და ყოველ გვარის ქართულ წიგნის ხალხში გასავრცელებლად ამხანაგობას გაუმართავს ქართულის წიგნების მაღაზია სამტრედიაში და იმ ფასად აწვდის მსურველთ, რა ფასადაც ქალაქ ქუთაისში ისყიდება.

ამ გვარად, ამხანაგობის წიგნის მაღაზია დიდს სამსახურს გაუწევს გურიისა და სამეგრელოს სოფლისა და სხვა სკოლების მასწავლებლებს და საზოგადოებასაც ყოველის ქართულის წიგნისა და სასწავლო ნივთის მიწვდენით. აგრეთვე ამხანაგობა დიდს სამსახურს გაუწევს წიგნების ბეჭვდის ამხანაგობას და წერა-კითხვის გამავრცელებელ მმართველობასაც იმათის წიგნების ხალხში გავრცელებით. თუ მართლა ბ-ნ გელეიშვილის მომავალი წიგნის მაღაზიაც მიემატა სამტრედიას, მაშინ, რაღა თქმა უნდა, დაბასა და სოფელში წიგნები უფრო გავრცელდება და ეს ხომ დიდი და კეთილი საქმეა. სწორედ სასიამოვნოა, რომ ბ-ნ გელეიშვილს მიუბაძავს ამხანაგობისათვის და ჰსურს ცალკე წიგნის მაღაზიის გამართვა სამტრედიაში, სადაც დღემდე არა თუ წიგნის მაღაზია არ იყო, არამედ ერთი ქართული წიგნაკიც არ მოიპოვებოდა გასასყიდად... და ეხლა-კი მეორეც არსდება.

ვ. მასხულია

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

კავკასიის სამეურნეო საზოგადებას საპატიო ადგილი უჭირავს რუსეთის სამეურნეო საზოგადოებათა შორის. რა თქმა უნდა, რომ ამ საზოგადოებას დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს კავკასიის მეურნეობისა და მრეწველობისათვის. ამასთან ისიც უნდა ვსთქვათ, რომ სამეურნეო საზოგადოებას უეჭველად უნდა ჰქონდეს თავისი განყოფილებანი. 1850 წელს, როცა კავკასიის სამეურნეო წესდება არსდებოდა, თავადმა ვარ. ნცოვმა კარგად იცოდა, რომ ერთი სამეურნეო საზოგადოება ვერას გახდება მთელს კავკასიისათვის და ამიტომ საზოგადოების წესდებაში ის მუხლიც შეიტანა, რომ კავკასიის ყველა გუბერნიას უფლება მიეცეს სამეურნეო საზოგადოებათა განყოფილების დაარსებისაო. მართლაც, ძლიერ საჭიროა, რომ ყველა გუბერნიას თავისი განყოფილება ჰქონდეს სამეურნეო საზოგადოებისა. წინააღმდეგ შემთხვევაში, საზოგადოება სასურველს სარგებლობას ვერ მოუტანს კავკასიას. წარმოვიდგინოთ, მაგალითად, რომ კავკასიის სამეურნეო საზოგადოების კრებას ერევნისა, განჯისა და ბაქოს გუბერნიის მემამულენი დაესწრნენ. კრებას სჯა აქვს სიმინდისა ან ღომის მოყვანის შესახებ. რა თქმა უნდა, რომ ამ მემამულეებმა არაფერი არ იციან ამ საგნის შესახებ, რადგანაც ზოგიერთს არც ღომი უნახავს თვალით და არც სიმინდი. აგრეთვე ქუთაისის მემამულეები ვერას იტყვიან, თუ ლაპარაკი ისეთს მცენარის შესახებ ჩამოვარდა, რომელიც ქუთაისის გუბერნიაში სულ არა ხეირობს. თუ გინდა ისეთი საგანიც რომ ავიღოთ, რომელზედაც ყველა მემამულეს შეუძლიან სჯა, მაგალითებრ მევენახობა, მაშინაც აღმოჩნდება, რომ ამ საქმის რიგიანად წარმოებისათვის სხვა-და-სხვა გუბერნიაში სხვა-და-სხვა საშუალებისა და ღონისძიების მიღებაა საჭირო. ცხადია ამიტომ, რომ კავკასიის სამეურნეო საზოგადოებას უეჭველად ყველა გუბერნიაში უნდა ჰქონდეს თავისი განყოფილება. სამწუხაროდ, ამ განყოფილებათა დაარსებისავის არავინ არა ჰზრუნავს. მთელს კავკასიაში ერთი განყოფილებაა სამეურნეო საზოგადოებისა. ეს განყოფილება ქალაქ ქუთაისშია. დაარსებისათანავე ამ განყოფილებამ კავკასიის სამეურნეო საზოგადოებას მიჰმართა და სთხოვა, რაიმე შემწეობა აღმოგვიჩინეთო, მაგრამ საზოგადოებამ ამ თხოვნაზედ უარი უთხრა, თუმცა ამ საზოგადოებას თავისს წესდებაში უწერია:

„§ 142. საზოგადოება ვალდებულია სამეურნეო განყოფილებას შემწეობა აღმოუჩინოს დარიგებით, რჩევით, სამეურნეო იარაღით და აგრეთვე ფულითაც“.

ამ ჟამად ქუთაისის განყოფილებამ ხელ-მეორედ მიჰმართა კავკასიის სამეურნეო საზოგადოებას და სთხოვა, წელიწადში 500 მანათი მაინც მოგვეცითო. საზოგადოებამ ამ თხოვნაზედ პასუხი არ გასცა და თავის მხრივ მოსთხოვა განყოფილებას, თქვენის მეცადინეობისა და შრომის რიგი და წესი გამოგვიგზავნეთო. განყოფილებამ ეს წესი გამოუგზავნა, მაგრამ საზოგადოებას აქამდე ჯერ არ განუხილავს. ამ საქმის შესახებ კავკასიის სამეურნეო საზოგადოების ქუთაისის განყოფილების ვიცე-პრეზიდენტის ს. ხოჯაევის მიერ ვრცელი წერილია დაბეჭდილი გაზეთ „Нов. Обоз.“-ში.

„კავკასიის სამეურნეო საზოგადოების ასეთი საქციელიო, სწერს ხოჯაევი, სწორედ არა სასიამოვნო ამბად უნდა ჩაითვალოსო, მით უმეტესს, რომ საზოგადოების პირდაპირი მოვალეობაა ყოველ გვარი შემწეობა აღმოუჩინოს ახლად დაარსებულს განყოფილებას. როცა საზოგადოებამ ქუთაისის განყოფილებას მეცადინეობის რიგი და წესი მოსთხოვა, მე მეგონაო, განაგრძობს ხოჯაევი: რომ კავკასიის საზოგადოებას გადუწყვეტია თავის მეცადინეობასაც რაიმე რიგი და წესი მისცეს. სამწუხაროდ, მალე დავრწმუნდი, რომ თვით საზოგადოება არა ზრუნავს თავისის მეცადინეობის რიგიანად მოწყობას. ამას წინად საზოგადოების კრებამ განიხილა 1892 წლის ხარჯთ-აღრიცხვა, შემდეგ კიდევ რამდენიმე კრება მოხდა, რომლებზედაც დიდი სჯა და ბაასი იყო წევრების მიერ ხვედრის ფულის შემოუტანლობის შესახებ. იმ საგანზედ-კი, თუ რას უნდა მიჰმართოს ამ წელს საზოგადოებამ თავისი ყურადღება და შრომა, ჩვეულებისამებრ კრინტიც არ დასძრაო. ეს საზოგადოება ისე იქცევა, რომ იმისს შრომასა და მეცადინეობას თითქო რაღაცა შემთხვევითი ელფერი აქვს. მივა მაგალითებრ კრებაზედ ბამბის მოყვანის მცოდნე და საზოგადოება ბამბის მოყვანაზედ ასტეხავს სჯა-ბაასს, შემდეგ გამოჩნდება რომელიმე ყველის მკეთებელი და საზოგადოება ერთთავად ყველის კეთებაზედ ჰფიქრობს და ლაპარაკობს. ამ წელს, მაგალითად, სამეურნეო საზოგადოება ბევრს ბაასობდა ბამბის მოყვანაზედ, მხოლოდ იმიტომ, რომ საზოგადოებაში გამოჩნდა ბამბის მოყვანის მცოდნე ბ-ნი ტარატინოვი. ერთის სიტყვით, სამეურნეო საზოგადოების მოღვაწეობას და შრომას არავითარი რიგი და წესი არა აქვს. ასეთი დაუდევრობაო, ამბობს დასასრულ ბ-ნი ხოჯაევი, 20—30—40 წლის წინად კიდევ ეპატიებოდა საზოგადოებას, მაგრამ ეხლა-კი, მგონია, დრო არის, საზოგადოებამ შეიგნოს ის მოვალეობა, რომელიც უტკირთნია, და თავისი საქმე რიგიანად და წესიერად მოაწყოს“.

## უცხოეთი

**საფრანგეთი.** გაზეთს „Temps“-ში დაბეჭდილია შემდეგი წერილი ჟიულ სიმონისა რავაშოლის გასამართლების საქმის თაობაზედ:

„მე მგონია, რომ ძლიერ აზვიადებენ რავაშოლის გამართლების შემდეგს, თუმცა მართლა-კი რომ ვსთქვათ, მეტის-მეტად ცუდი ამბავია იმისი გამართლება. გამართლება-მეთქი იმიტომ ვამბობ, რომ ყველას ამ ჟამად ეს სიტყვა აკერია პირზედ, თორემ რავაშოლი არავის გაუმართლებია; მხოლოდ ბრალის შემამსუბუქებელი გარემოება აღმოუჩინეს და სასჯელი შეუმცირეს. ყველას უკვირს, საიდგან აღმოაჩინეს შემამსუბუქებელი გარემოებაო. მეც თავიდგან ბოლომდე სულ გადავსინჯე მთელი საქმე რავაშოლის გასამართლებისა, მაგრამ ამაოდ, სრულიად ვერა ვპოვე-რა შემამსუბუქებელი გარემოება. იქნება იმიტომ შეუმსუბუქეს რავაშოლს სასჯელი, რომ ერთხელ როდესღაც ყმაწვილისათვის შაქრის ნატეხი უჩუქებია? ან იქნება კიდევ იმიტომ, რომ რავაშოლს ორს სახლზედ მეტი არ აუფეთქებია, თუმცა შეეძლო მთელი უბანიც ჰაერში აეფრინა? იმდენი ფული წაართვა მწირსა, რომ ამას უთუოდ მოახერხებდა, თუ მოინდომებდა. იქნება ეშინოდათ, რომ რავაშოლი გაქნილ ქურდად და უბრალო მკვლელად დაესახათ? მართლაც-კი, რავაშოლი ცოტა სხვა კაცად უნდა მიეჩნიათ, ერთის ნომერით მაღლა უნდა დაეყენებინათ, რადგან იგი თეორიით ხელმძღვანელობს. იმის აზრით, კარგია, რომ ყველა ბურჟუა ჰაერში გასტყუმრებულ იქმნას და განა ასეთი აზრი კაცისა შემამსუბუქებელი არ არის მისის ბრალისა და სასჯელისა?

„რასაკვირველია, იმის თაობაზედ ლაპარაკიც არა ღირს, რომ სასამართლოს შემამსუბუქებელს გარემოებაზედ უსაიდუმლოესი აღარა აქვს-რა. საზოგადოებას მარტო რომ გაეკიცხა რავაშოლის შესახებ დადგენილი განაჩენი სასამართლოსი, მაშინ ხმასაც არ ამოვიღებდი, მაგრამ ამ ჟამად ყოველ მხრივ შემდეგი მესმის: უმწეონი ვყოფილვართ; ჩვენი სიკვდილ-სიცოცხლე კაცის მკვლელთ ჩაუგდიათ ხელში; ნაფიცს მსაჯუ-

---

სი... თვალები მოიფშვნიტა, გამოიფხიზლა, გაიღიმა და მწვანე ხავერდით შეიმოსა. ხეებიც გაიფოთლა. ბულბულებმა მორთეს თავიანთი ტკბილი სიმღერა. ვიდოსავასათვის გაზაფხულის მოსვლა ისე არ იყო სასიხარულო, როგორც სტეფანეს წერილი:

„ჩემო უძვირფასესო!

კარგად იცი, რა ძლიერაც მიყვარხარ! შენა ხარ ჩემი სიცოცხლე, იმედი, ბედნიერება. ხვალ ზევით ის დღეა, როცა შენც დაურცხვენად წმიდა ტაძარში ჩემს სიყვარულს შეამკობ და ნათელს მოჰფენ. დილით ადრე ჩემი მაყრიონი მოვა თქვენსა. კარგადა ვარ. შენც, იმედი მაქვს, მხიარული, გახარებული იქნები, ჩემო იმედო!

საფლავამდე შენი ერთგული სტეფანე“.

სადედოფლოდ მორთულს ვიდოსავას გამზრდელმა ნაწნავში ნორჩიის კონა გაუკეთა და სიყვარულით უთხრა:

— თავს შემოგევლოს, ჩემო მშვენიერო, შენი ძიძა! დღეს შენ ისევე ხარ მორთული, როგორც ის ქალი, რომლისათვისაც შვიდი ხელმწიფე ერთმანეთს ებრძოდნენ... მაგრამ რადა ხარ, ჩემო კარგო, დაღონებული?

— ჩემო კეთილო, ძიძავ! უნდა გამოგიტყდე, რომ წუხელ საშინელი სიზმარი ვნახე... როგორც ეხლა ვარ, ასე ვიყავ ჩაცმული და ოთახში დავდიოდი. უცებ საშინელი ხმა შემომესმა და ერთს ალაგას გავშეშდი. ავიხედე მაღლა და ჩვენის უბედურის პაპის სურათი დავინახე. საშინლად შემეშინდა, მთლად ცახცახი დამაწყებინა. სურათი ჩარჩოდგან გამოვიდა. ჩარჩოში ცარიელი ალაგი სისხლსავით გაწითლდა... მომიახლოვდა ეს სურათი და მითხრა:

— ჩემო შვილო! შენ დღეს პატარძალი ხარ და მოვალე ვარ დაგლოცოო. ხელიდგან ბეჭედი გამომაძრო და განაგრძო: ამ ბეჭდიდგან ბრილიანტი უნდა გამოვიღო! ან რის მაქნისია, გაქვავებულს ცრემლსა ჰგავს. ბრილიანტის მაგიერ, იაგუნდი სჯობია! იაგუნდი კოსოვის მინდორზედ სერბიელთა დანთხეული სისხლის წვეთია... მითხრა ეს და თავისსავე ალაგას დაბრუნდა. ამ სიზმრის მოგონება თავს ზარსა მცემს.

მართლაც, საწყალი ვიდოსავა მთლად ცახცახებდა და იდუმალი ხმა მწუხარედ ჩასძახოდა ყურში: „სამშობლოს ღალატზედ უდიდესი ცოდვა არა არის-რა ქვეყანაზეო“...

მაყრიონი ცხენების ჭენება-თამაშით შემოვიდა მამა უროშის ეზოში.

დრო დადგა და ვიდოსავა გამოეთხოვა მამას... მაყრიონმა მხიარულად შემოსძახა მაყრული და გზას გაუდგა. მეფე-დედოფალი მშვენიერად მორთულს ეტლში ისხდნენ. მაყრიონი ცხენების თამაშითა და ჭენებით მიუძღოდა მეფე-დედოფალს. მეფე-დედოფლის ეტლში შებმული საუკეთესო ცხენებიც მაყრიონთა ცხენებს არ უვარდებოდნენ, ისინიც გაქანებული მიაქროლებდნენ ეტლს.

მგზავრთ მიატანეს მდ. დუნაის ნაპირს. გზა წყლის ნაპირს მიდიოდა. გზის ერთს მხარეს მდინარე იყო და მეორე მხარეს სალ-კლდიანი მთა.

მზე დასავლეთისაკენ გადიხარა. მზის სხივი ვიდოსავას ბეჭდის თვალში ათას ფრად ბჭყვრიალებდა. ვიდოსავა უნებლიედ დააკვირდა თავისს ბეჭედს და უცბად შეშინებით წამოიძახა: „სისხლი! სისხლიო!“ და გული წაუვიდა. მეეტლემ გახურებულს ცხენებს აღვირები ამოუკრიფა დასაყენებლად. ცხენები დაფრთხნენ, გადასცდნენ გზას და შიგ მდ. დუნაის ზვირთებში შეერივნენ. მაყრიონი ამაოდ უცლიდა გაგიჟებულს ცხენებს თოფებს. წყლის ზვირთებმა შთანთქა მეფე-დედოფალი. მცირე ხანს შემდეგ მეფე-დედოფალი ერთმანეთის გულში ჩაკრულები წყლის ტალღამ ნაპირზედ გამორიყა... ვიდოსავა სტეფანეს მკერდზედ მიჰკვროდა და ნელის ხმით ეუბნებოდა:

— განა არ გეუბნებოდი, სტეფანე?.. ვაი უდანაშაულოთ, როცა სხვის ცოდვა-ბრალი იმათ ედებათ კისრად... მაგრამ მაპატიე... მაპატიე... და სული განუტევა.

უბედური მამა უროშიც მალე გაჰყვა თან თავისს შვილებს...

—

ეს ამბავი კინაღამ მეც არ დამავიწყდა, მაგრამ ერთმა შემთხვევამ მომაგონა და ვისწრაფი ავწერო სხვათა სამახსოვროდ.

ვაბოლოვებ ამ ამბავს, მაგრამ ცხადად ვხედავ მშვენიერს ვიდოსავას, რომელიც სახე გაბრწყინვალებული სდგას და ირგვლივ შეყრილს ხალხს ეუბნება: „სამშობლოს ღალატზედ უძლიერესი, უსაშინელესი ცოდვა ქვეყანად არა არის-რაო!..“

ი. კახელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებს ავაზაკებისა ჰშინებიათ; ნაფიცი მსაჯულები მხდალები ყოფილან ისინი ბრალდებულთა წინაშე თრთიან და კანკალებენ შიშისა გამო.

„ვბედავ და ვამბობ, რომ ეს სიტყვები საბუთიანი არ არის. ამ თავითვე ვამბობ, რომ მე ფანატიკოსი მომხრე არა ვარ ნაფიც მსაჯულებისა. საქიროდ რომ სცნან ისეთის მსაჯულების დაწესება, რომ მთავრობას არ შეეძლოს მათი გადაყენება და არც მათი არჩევა პოლიტიკის მიხედვით, მაშინ მე ჩემად უფრო სპეციალ მსაჯულებს ვირჩევდი, ვიდრე შემთხვევითს მსაჯულებს. ეხლა უნდა მოგახსენოთ, რომ რავაშოლის მსაჯულები შემთხვევითი მსაჯულები იყვნენ და მათი არჩევა საშემდეგოდ სრულიად არას მოასწავებს. მე მზადა ვარ გავკიცხო ის მსაჯულები ასეთის გაუგებარ განაჩენის დადგენისათვის, მაგრამ იმას-კი ვერ დავასკვნი, რომ სხვა მსაჯულებიც იმათს ადგილას სწორედ იმავე განაჩენს დასდებდნენ ამ საგნის შესახებ. მე, პირ-იქით, სრულიად სხვა აზრისა ვარ. ის განაჩენი არა თუ მარტო სამარცხვინოა, არამედ დაუჯერებელიც-კი; ამაშფოთა და გამაკვირვა კიდეც იმ განაჩენმა. მართალია, შეიძლება იმის გამო კაცს ეჭვი შეეპაროს სხვა მსაჯულების სულის სიმტკიცეზედაც, მაგრამ იმის თქმა-კი, ვითომ საფრანგეთის ყველა მსაჯულნი მხდალნი იყვნენ, რადგან იმ თორმეტს მსაჯულს შეეშინდაო, გადაჭარბება იქნება და ვერაფრით ვერ დასაბუთდება.

„თორმეტს მსაჯულს რომ ვამბობ, ესეც მართალი არ არის. განა რამდენს ხმაზედ იყო დამოკიდებული განაჩენის დადგინება? სულ ორს ხმაზედ. შვიდნი იმას ამბობდნენ, შემამსუბუქებელი გარემოება აქვსო, ორი მსაჯული კიდევ რომ გადასულიყო მეორე მხარეს, ეხლა სალაპარაკოდ ის გვექნებოდა: „სენის დეპარტამენტის მსაჯულნი მტკიცენი ყოფილან სულითა, არა, რავაშოლებს თავს არ გავიყვანთ“-ო. მაგრამ წარმოიდგინეთ, მე რომ ვყოფილიყავ რავაშოლის ადგილას, ის ორი ხმა სრულიადაც არ დამამშვიდებდა; მაინც ვიგრძნობდი წყრომას საზოგადოებისას, რომელსაც მშვიდობიანობა ჰსურს და ნებას არ აძლევს რამდენსამე ავაზაკსა ð კაცის მკვლელს დაცინვისას. ყოველ იმის გამო, რაც მოხდა, ძლიერ საბუთიანად ამბობენ, რომ საზოგადოებას უფრო მეტი დარაჯი სჭირიაო, მაგრამ ის-კი უსაბუთო არის, რომ გაიძახიან, რა-კი ორს ნაფიცს მსაჯულს შეეშინდა, მთლად წახდა ჩვენი საქმეო“.

## დეპეშა

30 აპრილი

**პეტერბურგი.** პეტერბურგის საეპარქიო კომიტეტს დაარსებიდგან 20 აპრილამდე დამშეულთა სასარგებლოდ შეწირულება მიუვიდა 439,500 მანათზე მეტი. აქედგან დაიხარჯა 381,000 მანათი.

საგეოგრაფიო საზოგადოების გუშინდელ კრების დროს მოხსენებულ იქმნა, რომ „საზოგადოებას“ უმალესად ებოძება 30,000 მან. სამის წლის განმავლობაში ნაწილ-ნაწილად შუა აზიის გამოსაკვლეველად, რის გამოც შესაძლებელი იქმნება ზაფხულში გატანინი გაგზავნილ იქმნას დასავლეთს ჩინეთსა და ტიბეტის განაპირა ქვეყნებშიო.

**ლონდონი.** მარკიზმა სალისბიურიმ დღეს ინახულა ქალაქის მუშათა ამხანაგობის დეპუტაცია, რომელმაც განუცხადა, არჩევანების დროს პირველ საგნად მუშათათვის დღეში 8 საათის მუშაობის დაწესებას წამოვაყენებთო. სალისბიურიმ უპასუხა: თანაგიგრძნობთ, მაგრამ თქვენს აზრს არ ვეთანხმები და გაფრთხილებთ—ვერც გაფიცვითა ð მუშაობაზედ ხელის აღებით და ვერც საკანონმდებლო წესით ვერ დააწესებინებთ მუშათათვის დღეში 8 საათის მუშაობასაო. პრემიერმა ამის საბუთად ის დაასახელა, რომ თუ კანონით შევზღუდეთ, მრეწველნი და მექარხნენი იძულებულ შეიქმნებიან ჩვენის ქვეყნიდგან წავიდნენო. გუშინმა ინახულა დეპუტაცია, რომელიც საერთაშორისო მორიგებაზედ იდგა.

1 მაისი

**პეტერბურგი.** გაზ. „Новости“ იუწყება: ხმა დიდის, რომ წარსულის წლის მოუსავლობის მიზეზი ჰსურთ გამოიკვლიონ სენატორების მიერ მოხდენილ რევიზიითაო.

**პეტერბურგი.** სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკის გირავნობის ფურცლების დღევანდელს ტირაჟში უმთავრესი მოგებანი ხვდა შემდეგს ბილეთებს:

| №№ სერ. | №№ ბილ. | მოგება. |
|---|---|---|
| 235 | 30 | 200,000 |
| 11,017 | 18 | 75,000 |
| 3,515 | 32 | 45,000 |
| 9,561 | 38 | 25,000 |
| 11,285 | 23 | 10,000 |
| 9,389 | 41 | 10,000 |
| 11,624 | 28 | 10,000 |
| 5,113 | 2 | 8,000 |
| 579 | 41 | 8,000 |
| 14,811 | 29 | 8,000 |
| 2,253 | 32 | 8,000 |
| 8,100 | 28 | 8,000 |
| 1,945 | 40 | 5,000 |
| 4,290 | 6 | 5,000 |
| 13,394 | 30 | 5,000 |
| 12,505 | 2 | 5,000 |
| 11,468 | 30 | 5,000 |
| 3,412 | 40 | 5,000 |
| 13,873 | 12 | 5,000 |
| 11,543 | 42 | 5,000 |
| 6,719 | 47 | 1,000 |
| 13,267 | 6 | 1,000 |
| 9,468 | 30 | 1,000 |
| 3,299 | 38 | 1,000 |
| 348 | 47 | 1,000 |
| 11,887 | 36 | 1,000 |
| 8,030 | 32 | 1,000 |
| 13,940 | 36 | 1,000 |
| 9,664 | 47 | 1,000 |
| 11,048 | 8 | 1,000 |
| 3,594 | 30 | 1,000 |
| 14,817 | 30 | 1,000 |
| 2,908 | 30 | 1,000 |
| 6,414 | 42 | 1,000 |
| 8,701 | 49 | 1,000 |
| 11,680 | 13 | 1,000 |
| 12,301 | 42 | 1,000 |
| 5,547 | 22 | 1,000 |
| 8,536 | 5 | 1,000 |
| 1,526 | 42 | 1,000 |

პეტერბურგის ბირჟა, 28 აპრილი.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | 7,55 | 7,58 | — „ |
| ტამოჟნის კუპონები | 150¼ | 151¼ | — „ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული | — „ | 1,12 | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | — „ | — „ | 239 |
| —მეორისა | — „ | — „ | 218½ |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი | — „ | 197 | 197¼ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: 6% | — „ | — „ | 101,87 |
| 5% | 99½ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა 6% | 101½ | — „ | — „ |
| 5% | — „ | — „ | — „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — „ | — „ | — „ |

# განცხადებანი


ტფილისში,

გოლოვინის პროსპექტზედ, ფანდოევის სახლში, ოტტენის აფთიაქის გვერდზედ გაიმართა:

**ფოტოგრაფია**

ეკატერინე პეტრეს ასულის

**ბარკანოვისა,**

მის იმ. უმაღ. დ. მთ. მიხეილ ნიკოლოზის ძის კარის თეირანში გარდაცვალებულის ფოტოგრაფ ვ. ვ. ბარკანოვის ქვრივისა.

ბარკანოვის ქვრივის საფოტოგრაფიო სახელოსნოს იმედი აქვს კვლავ აღადგინოს თავის მუშაობით უწინდელი სახელი მთელს კავკასიაში ცნობილის ფირმისა და მოიპოვოს ნდობა პატივცემულის საზოგადოებისა.

ფასი ყოველ გვარ საფოტოგრაფიო სამუშაოსი ხელ-მისაწვდომია.

(3—70—1)

**გასაფრთხილებლად.**

ჩვენს პატივცემულს მყიდველებსა ვთხოვთ, რომ მოითხოვონ ხოლმე ჩვენ მიერ გამოგონილი საპონი

ოლეო-ვაზელინის

**როიალ-კონგო**

მხოლოდ ჩვენის წარწერით-კი ე. ბოდლოსი და ამხ. ამ საპონმა დიდი სახელი გაითქვა და არა აქვს-რა საერთო ღირსებითა და სუნით სხვა ამ სახელის მაგვარ სახელიან საპნებთან.

საპარფიუმერო ფაბრიკა

„ვიქტორია რეგინა“

**ე. ბოდლოსი და ამხ.**

მოსკოვს.

ისყიდება ყველგან! (10—2)

**კბილის ექიმი**

**ა. ი. ორბელი**

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

დილით 8-დგან 10 საათამდე.

საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.

**კვირა-უქმე დღეებში**

დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (150—44)

**მაღაზია სარპინკებისა**

(ტფილისი, სოლოლაკის ქუჩა, სახლი ალაბაზოვისა).

ხელ-მოსაცემი და სარფა საზაფხულო ქსოვილი, ხელით-ნაკერები ქალებისა და ყმაწვილების ტანისამოსისათვის და აგრეთვე მამაკაცთა პერანგებისათვის.

დიდ-ძალი განიერი სარპინკები ზოლებიან-არშიანები. სარპინკის წინდად საქსოვი ძაფი, სხვა-და-სხვა უხუნარის ფერისა, ჭრელ წინდებისა და ჩულქების საქსოვად.

სარპინკის ტანისამოსი ქალისა ყუთებიანად 3 მან. და 60 კაპეიკიდამ დაწყებული.

სარპინკის იუბკები 1 მან. და 80 კაპ. დაწყებული და უფრო ძვირებიც.

სარპინკის ცხვირსახოცები და თავზე-მოსახვევები.

ფაბრიკის პატრონები **სავაჭრო სახლი:**

**ბენდერ და სტეფანოვი**

(35—56—11)




ტფილ. გამოფენა.




ვერცხლისა




ოქროსი

ЗАВОДЪ

МАСЛЯНЫХЪ КРАСОКЪ

**А. А. ТУТАЕВА.**

*Кузнецкая ул., ниже Солдатскаго базара.*

Принимаются постройки, ремонты и окраски домовъ, крышъ, фасадовъ и проч. Имѣются въ продажѣ всевозможныя лито-типографическія масляныя и сухія краски, кисти, масла и прочее; ручается за добросовѣстное исполненіе работъ и доброкачественность матеріаловъ.

**ალექსი თუთაევის**

ზეთიანის კრასკების ქარხანა იარმუკაზედ

**ტფილისში:**

ვიღებ ქ. ტფილისში და საქართველოს რკინის გზის სადგურებთან ორის ვერსის სიახლოვეზედ სახლების აშენებას, აგრეთვე სახლების შეკეთებას (ремонтъ) და შეღებვას (полная окраска домовъ). ვყიდი ფაბრიკის ფასით საზღვარ-გარეთიდამ მოსულს ლიტო-ტიპოგრაფიის, ხუდოჟნიკის და ფაეტონების წასასმელს ყველა ნაირ ფერის კრასკებს: ალიფს, ლაქს, გუმირაბიკს, მასას, ბრონძს და ყველა ამათ მოწყობილების იარაღს.

ვამზადებ ჩემს კრასკის ქარხანაში ყოველ ნაირ ზეთით გალესილს კრასკებს. ვპირდები ყველას, რომ ყოველი ჩემ მიერ გაკეთებული საქმე და ჩემგან ნასყიდი კრასკები იქნება უტყუარი და საქმე პირობისამებრ ჩაბარებული.

ვაძლევ სანდო ადგილებში საქმის სიმკვიდრისათვის ერთის წლიდამ სამ წლამდე ზალოგს.

კრასკები შეიძლება დაიბარონ სხვა ქვეყნებში ოცის პროცენტის ბეის გამოგზავნით, დანარჩენს ფასს გარდაიხდიან დანიშნულს ადგილზედ საქონლის მიღების დროს (наложеннымъ платежомъ). (48—8)

**ახალი სტამბა**

მ. შარაძისა ტფილისში

ნიკოლოზის ქუჩაზედ, თავ. გრუზინსკისეულს სახლში,

იქ, სადაც **„ივერიის“** რედაქცია იმყოფება, გაიმართა

სრულიად ახალი სტამბა.

სტამბასა აქვს საზღვარ-გარეთიდამ გამოწერილი ახალის სისტემის მსწრაფლ-მბეჭდავი და სხვა და სხვა გვარი მაშინები.

ამასთან გვაქვს ახალი ასოები, როგორც ქართული, აგრეთვე რუსულიცა და სომხურიც. სომხური ასოები გამოწერილია ვენიდგან.

**ყოველ გვარს სასტამბო საქმეს** ქართულ-სომხურ-რუსულს ენებზე

**სუფთად და დროზედ ვაკეთებთ.**


Дозв. ценз. Тифлисъ, 1-го Мая 1892 г

სტამბა მ. შარაძისა.

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.